

1963
2

საქართველოს განმუშავ. გამოცემა № 1

— 30 90 - 9 8 30 ლ. —

— სახი —

საყვარელო კბავავი

ჩვენ სურათოთ და აუტორის მიერთე პირველი მიზანი.



1. სათავური:
2. როგორ განდნენ
3. ბუები ქვეყანაში.
4. ბუნკერის წააღვა.

ბილისი, ბ. ძილაძის სტამბა, ველიამინოვის ქ. № 6—8

ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა

ს ა 5

ს ა მ ი


ს ა ყ მ ა წ ვ ე ლ ი ლ ა გ ა ვ ა

რვა სურათით და აფტორის მოკლე ბიოგრაფიით

რ ი გ ნ ე პ ა ვ

1. სათაგური.
2. როგორ გაჩდნენ ბუები ქვეყანაზე.
3. ბუნების წიაღზე.

1/963



გ. პილაძის სტამბა, კველიამინოვის ქ. № 6
1911 წ.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

გაერთიანებულია

(ლუკა რაზიკაშვილი)

დაიბადა 1861 წ. სოფელ ჩარგალში (ფშავეში, თანანეთის მაზრაში). მისი მამა, პავლე რაზიკაშვილი, მღვდელი იყო. მან თავისი შვილი ლუკა მიაბარა თფილისის სასულიერო სასწავლებელში. როდესაც მესამე კლასში გადავიდა, მაშინ ვაჟამ თავი მიანება სასულიერო სასწავლებელს და შევიდა გორის საოსტატო სემინარიაში. სემინარიაში ყოფნის დროსვე დაიწყო მან მოთხრობებისა და ლექსების წერა. კურსის დამთავრების შემდეგ ახალგაზდა პოეტი დანიშნენის მასწავლებლად ს. ჩარგალში. ორი წლის შემდეგ ვაჟამ დაანება თავი იქ მასწავლებლობას და წავიდა ქ. პეტერბურგს სწავლის გასაგრძობათ. პეტერბურგში ვაჟა ბევრს კითხულობდა და უნივერსიტეტში (უმაღლესი სასწავლებელია) ლექციებსაც (გაკვეთილებს) ისმენდა, მაგრამ სიღარიბემ აიძულა მალე დაბრუნებულიყო სამშობლოში.

აქ ვაჟა ჯერ კერძო ოჯახში იყო მასწავლებლათ და მერე—ქართველთა უორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების¹⁾ სკოლაში, სოფ.


¹⁾ ეს საზოგადოება არსებობს თფილისში. ეხლა ბევრი განყოფილება აქვს საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში.

თონეთში (თფილისის გუბერნიაშია). მალე მასწავლებლობას სრულიად თავი მიანება და ცოლ-შვილით დასახლდა თავის სოფ. ჩარგალში.

სოფელში ვაუა-ფშაველა სოფლურ მუშაობას მისდევს—ხნავს, სთესავს და მხნეობს ისევე, როგორც სხვა მისი მეზობელი გლეხეაცობა, ხოლო თავისუფალ დროს ანდომებს მწერლობას.

ღ. გ—რი





ს ა თ ა გ უ რ ი

I.

ქალაქიდან ძია ესტატე ღამე-ღა იყო, როცა
სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა:
ძალზე მოერეკებოდა შინისკენ ესტატე თავის „მე-
რანს“,¹⁾ რომ შობა დღეს საკუთარ აჯახში ყოფი-
ლიყო. „მერანიც“ თავს როდი ზოგავდა: მოძუნ-
ძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი
ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულს ფე-
ხებს; ყურებს, თითქოს დაპირის უხეიროდ
ატლაკუნებდა²⁾. სიბერე ძნელია, გმირს როსტომსაც
კი³⁾ მოჰრევიაო, ნათქვამია, და, რასაკვირველია, ესტა-
ტეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღე-
საც გაყიდვას არ უპირობდა, თუმც მისი ცხენი
ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც ბევ-
რი ჰყვანდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერნის
მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-
კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რო-
მელნიც სუნით დაეძებენ იაფ-ფასიან საქონელს ცო-

¹⁾ მერანი—თოხარიკი, იორდა ცხენი.

²⁾ ტარების დროს აქნევდა. (აქ დაცინვითაა).

³⁾ ზღაპრული გმირი.

ტა ხნობით ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესა-
ტატე დიდს უარზე იდგა: —ჩემი ცოცხალი თავით
მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ;
აქამ და დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს
ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ,
მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე!
ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლე-
ბა: უნდა ჩემს ხელში მოკვდეს! —ამ .პასუხით ის-
ტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტის-მეტი კეთილი, სათნო ადა-
მიანი იყო: იმისაგან წყენა სოფელში პირუტყვსაც-
კი არ მოაგონდებოდა, განალამც ადამიანს. მხიარუ-
ლი, ღაელავა¹⁾), მუდამ მოცინარი, გადაპენტილი სა-
ხისა, ოჯახს გაყრაში და მოჩხუბართა შერიგებაში
აუცილებელი შუა კაცი იყო და ლხინში —თამაღა.

— ჰაა, აბა, შერიგდით, — ეტყოდა ესტატე მოჩხუბ-
რებს: — რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, განა სულ
ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს
ჩვენი წუთი სოფელი — წუთია; სიამოვნებით გავატა-
როთ, იმას რა სჯობია? სისხლი სისხლით არც და-
ბანილა და არც დაიბანება; სისხლს წყალი დაპანს
მხოლოდ. აბა, მოდით — პროშტი: ჯერ მე მაკოცეთ,
მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რამ საჩხუბარი გაქვთ,
იმას რა სჯობია — დინჯად, მოლაპარაკებით გავათა-
ვოთ. მუშტი-კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ

¹⁾ წითელი ფერის ↗

გაარიგოთ?! ოლონდ შერიგდით, და სადილი ჩემი იყოს.—ესტატეს არც შუაკაცობა მოუკდებოდა და დანაპირებსაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფ-ლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხვ-რობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცო-ტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათმოყარეს. კეთილს, სათნას¹⁾, უწყინარს, ჰურადს, გულადს და ამასთან ხანში შე-სულს აღამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა, ესტატეზედ ხნიერებიც-კი,— „ძიას“ ეძახდნენ.

ესტატეს ხან და ხან ხუმრობაც უყვარდა. რო-ცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში ნაცნობები მიესალმებრიდნენ:—ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან? საიდან?

— იერუსალიმიდგანაო, — უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე: — საით? საითკენ გავიწევიაო?

— იერუსალიმშიო, — უპასუხებდა და თან გული-ანად იცინოდა:—არა, ეგ ოჯახ-ქორები, რომ მყი-თხავენ, საით მიემგზავრებიო? · როგორ არ იციან, კატის მანძილი საბქელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს²⁾, ტრაპიზონს³⁾ ან

1) მოსიყვარულე, მასიამოვნებელი, კეთილის—მომქმედი.

2) განჯა და ერევანი—ქალაქებია კავკასიაში.

3) ქალაქია ოსმალეთში.

თეირანში!) წავალთ! თუ ჩავალთ, — ქალაქში, სხვაგან
სად უნდა წავიდეთ? ეჭ, განა არ იციან, მაგრამ
ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ საღმის სანელია.

II

ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად²⁾) იყო. რო-
ცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთ-სართულიან
სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს“
თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: „ოჯახი-
შვილებო, გმოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?“ შინ
ფაცა-ფუცი შეედგათ. „პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა“, —
გაიძახოდნენ ესტატეს შვილი-შვილები, სონა და
კოლა: გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რევისა.
„სანთელი მოანათეთ, სანთელი!“ — იძახდა ესტატე:
რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?“

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხე-
ლის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალე-
ბული დედა-კაცი, მეუღლე ესტატესი — ეფემია.

— ეჭ, სალამო მშვიდობისა, ეფემია! ჰაა, როგო-
რა ხარ, სულიკო-ჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარ-
გად. ცოტა შემციდა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. რა არის, კაცო,
ამ ღამე სიარული. სხვა არა იყოს-რა, ნაღირისა.
მაინც არ გეშინიან? — სთქვა ეფემიამ.

— რა ვქნა, დამიგვიანდა. ნაღირიო? განა მე ნა-

1) თეირანი — სპარსელების სატახტო ქალაქია:

2) ცოტათი მთერალი.

ირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალ-
ი ცოტაა განა?—სთქვა ესტატემ.



—პაპა, სათავური არ მოიტანე?—ჰკითხავ-

დნენ ესტატეს დაუინებით სონა და კოლა.—ჩუსტები, წალები, საკაბე?—შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრ-დნობილი ბალლები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველა-ფერი!—უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰედი-და. ამ ღროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტონებიდან, რომ ეფემის კინამამ ლამება გაუქრო. „რა იყო, პოო, კარგი, ცხენო?!“—სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს,—სთქვა ეს-ტატემ,—მაგრამ ჯერ დალლილია, დაისვენოს პატა-რა ხანი და მერე ვაჭამოთ;—ცოდოა, ძალიან გამოვ-რეკე.—ესტატემ ტანიდან აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო თავად, ყაბალახით თავ-ყურ შეხვეული, ხურჯინით ხელში, გაჭყვა უკან თავის დედაქაცს, რომელიც წინ მიუძლოდა. ესტა-ტემ გახურებულს ბუხარს მიაშურა, ხურჯინი ტა-ხტზე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სი-ყმეში!¹⁾—ჰყითხა ეფემიამ, ვიღრე ესტატე ბუხარს მი-უჯდებოდა.

— ძალიან კარგად პრის. ჯამაგირიც მოუმატე-ბიათ: თვეში სამი თუმანი აქვს,—სთქვა ესტატემ იავემომწონედ, რომ ასეთი ყოჩალი შეიღლი გამოუვი-და. ეფემია ღმერთს უმადლიდა. ხოლო რძალმა სოფ-

¹⁾ სიყმე—ჯან-ლონე, აგრეთვე სიყმაწვალე, ვაჟკაცობა.

იომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვინენ პაპას და ოლარ აცლიდნენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და იმისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ¹⁾ ყველაზე მეტად: პაპამ ორივენი გადაჭეოცნა და აღუთქა, რაზე მალე ყველაფერს ამოართმევდა ხურჯინიდან:

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვილო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქს,—და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოილო მჯილით²⁾ კანფეტები,—მანამდე ამას შეექეცით.

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას,—ჰქვიანად დასხელით!—შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფავდნენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰააა, აბა, ჩხუბი არ მოგივიდეთ, თორებ იცოდეთ —სათაგურს ისევ ქალაქში წავილებ,—სთქვა ესტატემ:—ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ. გზაში შემცირდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ.—ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა

¹⁾ ეინტერესებოდათ.

²⁾ მუჭით. მჯილი მუშტსაცა ჰქვიან.

დნენ ესტატეს დაუინებით სონა და კოლა.—ჩესტები, წალები, საკაბე?—შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრ-დნობილი ბალლები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შეილებო, ყველა-ფერი!—უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰედი-და. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტონებიდან, რომ ეფემის კინაღამ ლამფა გაუქრო. „რა იყო, პოო, კარგი, ცხენო?!“—სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს,—სთქვა ეს-ტატემ,—მაგრამ ჯერ დალლილია, დაისვენოს პატა-რა ხანი და მერე ვაჭამოთ;—ცოდოა, ძალიან გამოც-რეკე.—ესტატემ ტანიდან აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო თავად, ყაბალახით თავ-ყურ შეხვეული, ხურჯინით ხელში, გაჭყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძლოდა. ესტა-ტემ გახურებულს ბუხარს მიაშურა, ხურჯინი ტა-ხტე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სი-ყმეში!¹⁾—ჰკითხა ეფემიამ, ვიღრე ესტატე ბუხარს მი-უჯდებოდა.

— ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატე-ბიათ: თვეში სამი თუმანი აქვს,—სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩალი შეიღლი გამოუვი-და. ეფემია ღმერთს უმადლიდა. ხოლო რძალმა სოფ-

¹⁾ სიყმე—ჯან-ლონე, აგრეთვე სიყმაწვალე, ვაჟკაცობა.

იომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვინენ პაპას და აღარ აცდიდნენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და იმისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობო-დათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოლათ¹⁾ ყველა-ზე მეტად: პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუ-თქა, რომ მას უკეთეს ამოართმევდა ხურჯი-ნიდან:

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილები ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურ-ჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვი-ლო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს,—და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოილო მჯილით²⁾ კანფე-ტები,—მანამდე ამას შეეჭეცით.

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას,—კევიანად დასხელდით!—შეუტია ბავშვებს სოფი-ომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფავდნენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰააა, აბა, ჩხები არ მოგივიდეთ, თორებ იცოდეთ —სათაგურს ისევ ქალაქში წავილებ, —სთქვა ესტატემ: —ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ. გზაში შემცირდა და ცოტა ზარხო-შადაც გახლავართ. —ვიღრე ესტატე საუბარს დაიწ-ყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა

¹⁾ ენტერესებოდათ.

²⁾ მუჭით. მჯილი მუშტსაცა ჰქვიან.

იქვე თეორ ტილოთი გადაფარებულს სამოვარს. და ხელად ლანგრით¹⁾ ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

— აა, ღმერთმა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისათანას არას მოვსწრებივარ: მეტის მეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით: დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს: კაცს ეგონება — თავებს იმარხავნ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი — მე მეტვენება, თუ მართლა ასეა.

— ეჲ, ქალაქია, ესტატე-ჯან: ქეიფს რა გამოჰლებს? — სთქვა ეფემიამ. — მაგრამ მე ეგ როდი მეტითხება: თვალი იმათაც დაუღესათ! ასემც უქნიათ, ლვინისა და არყის რუმბებში ჩაუღრჩეთ თავები! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირობდა ამოსველას?

— როგორ არა, როგორ არა: საახალწლოდ უსათურდ მოვა, პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

— საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ, — სთქვა ეფემიამ, — ჰნახევი?

— როგორ არა, გუშინ სადილათ იმათსა ვიყავი. კაი დროება გავატარე.

— როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? — დაეკითხა ეფემია.

¹⁾ ლანგარი — სპილენძის რგვალი ბლუდი.

— კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა: ასი თუმანი ნაღდი ფული მექნებაო. აქ ასი კაპეიკი არა ჰქონდა. ბზეს, ერთს კალათას და ერთს ვირს შენი მამილაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

— ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!.. მოხერხებული კაცი ქალაქში მუდამაც გამდიდრდება,— სოჭვა ეფემიამ კვალად. ამ ღროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

— ოჳ, ქეითში გავები, ცხენი-კი დამავიწყდა. საწყალს ქრისტი უნდა. გომურუში¹⁾ უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა,— სოჭვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისაკენ. გააღო თუ არა კარები, ბოლიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქრი:

— ჩემო მერანო, ჩემო მერანო! ეხლავე იქნება ქრი, ეხლავე, მომიტევე, რომ ამდენი ხანი გაცდენიე, შე საცოდავო! ცოტა ხანი მომითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება, რასაც მიირთმევ, უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს, ხოლო დაბალ ხმაზე:— ნესტოვბს ჰბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

.ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

— პაპავ, წალები!.. პაპავ, სათავური! გაისმა ბავშვების ხმა; ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიჟებოდნენ.

¹⁾ ბოსელში.

— ამ ბავშვების ცოდნ წამწუმედს, თუ თხოვნა არ აეუსრულე, — სთქვა ესტატემ. არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიკმართა, ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცეროდნენ. ეფემია დონჯ-შემოყრილი, თავ-მომწონედ დასჩერებოდა; სოფიოც შორი-ახლოს იდგა გულხელ-დაკრეფილი და პირ-მოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიღი-მოდიოდა კუდ-აფ შრუყული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსული ტყავით. ექლი-შებოდა, ეხახუნებონა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდნენ, რადგან წამ და უწუმ ღნაოდა და ქნაოდა. თაგვი კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. მჩხვანა კატა, განა არ იკით, რა თაგვს დაიკერს?..

— აბა რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადა-მიანებო, — წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი. — ეს ბახტაკი!¹⁾ იც, იც, რა არის, რომ იცოდე, ეფემიაგ?! ნახე რა არის და! — სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქური²⁾ დააწყო ტაბაკზედ³⁾.

¹⁾ თევზია.

²⁾ კალმახის ჯიშის თევზია. გოქჩის (ერევნის გუბ.) ტბაში იჭერენ.

³⁾ ხის რევალი ბლუზი.

— აჲ, ოევზები, დელილო, ოევზები! რა კარგებია, ჭრელები! ამბობდნენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდნენ და საკოცნელად ელმუწებოდნენ; ყურს არ უგდებდნენ დედის ბუზლუნს და დარიგებას: „პკეიანათ იყავითო!“

— ესეც ძროხის ხორცი! ჩალალაჯია¹⁾, ყასაბ გიგოლას მოვაჭრეებინე. ჩემი ძველის-ძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემთვის ურიგო რასმეს გაიმეტებდა!.. ესეც ბრინჯი, აქულისა!²⁾ ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? კიდევ რა? — ამბობდა ესტატე მოლიმარი სახით: — აჲ, ესეც მწვანილი, ოხრახოში და წიწმატი თავის რამე-რუმეებით!.. ჰაა, კიდევ გინდა რამე, ეფემიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ: ესეც ხმელი ხილი სახალწლოდ. მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ? ესეც ილი, მიხაკი და დარიჩინი³⁾). ყველა ამას, ეფემიავ, ერთი დედალი მიუმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

— ადვილია, ადვილი, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემია-ჯან?! ეუბნებოდა პირ-მოლიმარი ესტატე თავის მეულლეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი; ვინა გწუნობს მერე? — მიუგო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

1) ძროხის ზურგის ნაწილი, კისერს უკან, ბეჭებ შუა.

2) მხარეა სპარსეთში.

3) სუნელებია.

— ვნახოთ მეორე ვაგონი, ¹⁾ — სთქვა ესტატემ.
— ვნახოთ აქ რაღა ამბაეთა? აბა აქ არის, რაც არის
და! აბა, მოდით, მოდით, ამოდით, ნუ იმალებით
და! — ჩაპხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩა-
წყობილს ნავაჭრ საქონელს: — ესეც სონას საკაბე
და ფეხსაცმელი.

— დილილმე, დილილმე! — შესძახა სონაშ და
შიეტანა პაპას ხელებში. ფეხსაცმელს და საკაბეს
გულ-მკერდში იხუტებდა და სანახავად არავის ანე-
ბებდა.

— ესეც კოლას წალები, სთქვა ესტატემ: —
„ზაგრანიჩნია“²⁾, ნამდვილი; როგორ ლაპლაპებენ. —
კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წალები.
— ესეც სოფიოს საკაბე; თავის მეფემ გამოუგზავნა, —
სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქალალდში
გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ ეფემიამ დაასწრო
და ჩამოართვა.

— ქიშმირია³⁾, ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ
გამდიდრებულა ჩემი შვილი. აქამდის ჩითის კაბის
ყიდვაც კი ეზარებოდა, და ახლა ჰყურობთ?.. უცბად
ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო, —
სთქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

— ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო
და მარგალიტო, — სთქვა ესტატემ, — ნამდვილი სა-

¹⁾ რეინის გზებზე მოსიარულე ოთახი.

²⁾ საზღვარ-გარეთული.

³⁾ ერთნაირი შალის ქსოვილია.

შენო, საბებრო. ამისმ ეტივერაფერი გიყიდე; რაღან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით¹⁾). ეჭ, ჩვენ ბებრები ვართ:—მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჯეილები²⁾ არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

— ვინ გემდურის, კაცო; ამისაც დიდი მაღლობელი ვარ,—სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოილო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან პატარიანად გულ-მოდგინებით.

— ესეც თქვენი სათაგური! — წარმოსთქვა ესტატემ: — ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიკურთ?

— გიშველა ლმერთმა,—სთქვა გახარებულმა ეფემიამ: — სული-ლა დაამწარეს ავ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში³⁾ ველარაფერი შემინახავს... ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: „აბა როგორია, დიდელო?“ — გაიძახოდნენ ისინი და თან გულ-მოდგინედ ათვალიერებდნენ თაგვების სულთა-მხუთავს...

— მაშ არა, შენ დაიკურ თაგვსა, მეხი-კი ჩაგარტყი მაგ თავში, — სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალის, რომელიც ცუცხლა პირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა: — მთელი წელიწადი თვალყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე. ეს სასიცდლილ მარტო ხელებში შემოგვჩერე, ბია, რომ ვაჭამოთ რამე.

¹⁾ ვითომდა ფული ალარა მქონდა. ²⁾ ახალგაზდები.

³⁾ განჯინა — ოთახის კედელში ჩაშენებული შკაფი.

— თქვენც სათაგური ამჟავეთ, — სთქვა ესტა-
ტემ: — ლნავალა ძალიან კვეიანად იქცევა, ცოდოს
ერიდება.

— ცოდოს, ამისმა მზემა, — სთქვა ეფემიაზ და
წაჰკრა მუჯლუგუნი კატას: — დაიკარგე აქედან, შე
სასიკვდილევ; ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოე-
რიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველაზ სა-
თაგურზე დაამყარა; იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფე-
მიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი¹⁾ მოშეშა,
დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული
დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალ-
საჩინოდ აჩენა, თუ როგორ შეძრებოდა თაგვი,
როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მასე როგორ
დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაქს.

მცირე ვახშის შემდევ დაიძინეს. ბავშვებმა სა-
შობაო საჩუქრები ბალიშ ქვეშ ამოიდეს... ბუხრის.
წინ მხოლოდ ლნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის
გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვანი
ციცხვით²⁾, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარ-
ქველიანად³⁾.

III.

სათავეოის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა.
განჯინიდან არა-ჩვეულებრივი, გულის წარმტაცი,

¹⁾ კაკლის გული.

²⁾ გრძელ-ტარა ხის კოვზი.

³⁾ სარქველი—ქვის სახურავი, ქვევრის (ჭურის) და
საფუღრის (ქოთნის).

ყნოსეის დამატებობელი სუნი შემოღიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად; წინ მოუძლოდა სახელოფანი ფიცხელა, განთქმული სიმარტით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდევ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა; --- დანარჩენი თაგვების სახელს ვინ ჩამოთვლის ან კი? მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟაკები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

— ბიქებო! აქ რაღაც ონია,— დაიძხა ფიცხელამ: ჯერ ამისთანა რამ მე აქ არ მინახავს! არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც თეთში, არც ბაღია,¹⁾ არც საშაქრე, არც ბოთლი; სხვა რაღაც რამ არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს. ვხედავ კიდევაც, ლებანი კაკლისა. აბა შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით დასცეკეროდნენ, ხან მეორეთი, — მართლაც საუცხოვო რამ მანქანაა. სიფროთხილეს თავი არა სტკივა. ჩვენ სამტროდ არ იყოს, ბიჭო, მოგონილი და! რაღაც იმნაირი რამა ჩანს. ჩემი გული და თვალი არ ენდობა, — სთქვა ცელქამ.

— კეშვარიტებაა! — ჩურჩულებდნენ სხვა თაგვები და ადასტურებდნენ ცელქას მოსაზრებას: უნდა ახლოდან გავჩხრიკოთ; მაგრამ ვინ გასჩხრეკა, საქმე

¹⁾ აცილენტის ან ვერცხლის ჯამი, (ჩვეულებრევ ჯამზე დიდია ხოლმე.)

ისაა! — აქ რას ვაკეთებ? ვაჲ, დედას ჩემი მტრისას, განა ეგრეც დავლაჩრდით¹⁾: უნდა შევარცხვინო სა-თავეეთი? — სთქვა ფიცხელამ.

— შენ იცი! — დართეს ნება სხვა თავეებმა, — მხოლოდ ახლო არ მიეკარო, შორი-ახლოდან გა-ჩხრიყე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ: შორი გზა მოიარე, შინ მშეიდობით მიღიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიცუნულდა. ლებანი სუნს თვალ-წარბში აბნევდა და უნებლიერ იზიდავ-და თავისკენ, მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კარებს და სათავურს გვერდიდან მოექცა: შემოუარა რამ-დენჯერმე გარშემო. ვერაფერი სახითათო ვერ დაი-ნახა, სათავური უბრალო მავთულის ჭურჭლად და-სახა, სადაც ერთი ლებანია დარჩენილი: უთავდარი-გო დიასახლის დავიწყებია. დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესევე უამბო...

— რას იტყვით, ბიჭებო?! — უთხრა ფიცხელამ თავებს: — მე საშიშს იქ არაფერს ვხედავ; გაბედავთ ვინმე შიგ შესვლას, თუ ვერა?

— მოდი მოვერიდოთ, სულ თავი გავანებოთ ეგ რაღაც მანქანაა. გვაკლდეს ეგ ერთი კაკლის ლე-ბანი, — სთქვეს თავეებმა.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვე-ნი ბიჭობა, რომ ტრიბახობთ — მე ეს ვაუკაცობა ჩა-ვიდინე, მე ესაო? შეგირცხვათ ვაუკაცობა! მე წავალ და მიცირეთ, რა ბიჭია ფიცხელა. — სთქვა და გაე-

¹⁾ დავგლახდით, მშიშრები გავხდით.

ბართა სათაგურისკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალთვალებდნენ. ფიცხელა მარდად მიცუნცულდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავალ კარებთან გაჩერდა; მიიხედ-მოიხედა: არა-ფერი ამბავია, მშეიღობიანობაა.—აქ რაა სახიფათო? პაი თქვე ლაჩრებო,—წარმოსთქვა თავის ამხანაგებზე და შეყო თავი სათაგურში. სულ მშეიღობიანობაა: თავში არავინა სუემს და გვერდში არავინა სჩვლე-ტავს. რაო? რა სჭირს? არაფერი, სრულიადაც არა-ფერი! ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფიცხელა ნიგოზს; დევ ამხანაგებმა შორიდგან უცქირონ და ნერწყვი ყლაპონ. მიუახლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი, პირი გაიტებანურა; სრულიად და-მშეიღდა, იმედი აიღო, რომ არავითარი უბედურე-ბა მას აქ არ მოელოდა და მოსწია კიდევაც მაგრა ლებანს. მაგრამ აი, სწორედ უბედურებაც ამ დროს მოხდა: სათაგური დასხლტა და ჩხავანი მოისმა. თავზარდა ცემული თაგვები გაფოხნენ. ეგონათ, იმა-თაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამაც იგრძნო თავისი შეცდომა. მობრუნდა ფიცხლად და გაექანა კარებისკენ გასასვლელად, მაგრამ ამაოდ: კარები უკვე მაგრა, ძალიან მაგრა იყო დაკეტილი. ძალიან შე-წუხდა, სული და გული დაეკეტა, ამხანაგებისაკენ გადაავლო თვალი: არავინ სჩანდა. „პაი თქვე მოლა-ლატენო, თქვენა“, —წარმოსთქვა მან: „გაიქცნენ, და-იმალნენ, როდი მოდიან და მეშველებიან.“ —შეახტა მაღლა სათაგურის ჭერს, მიაწყდა, —მოაწყდა, იქით-

აქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში, უს-
ვაძდა თათს, ღრღნიდა კბილით: ამაო იყო უოვე-
ლივე ცდა. თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფ-
ლი დაასხა. ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი ისევ
მთლიანად ეკიდა მავთულზე; ვის მოაგონდებოდა
მისი ჭამა?! გულმა აღარ გაუძლო და შეუძახა თა-
ვის ამხანაგებს: „სად მიიმალენით, თქვე უნამუსო-
ებო, აღარ მომხედავთ? ერთ-ერთი მაინც მოდით,
ანდერძი დაგაბაროთ; მე მტრის ხელთა ვარ, მინდა
გამოგესალმოთ“. თაგვებს ესმოდათ თვითოეული სი-
ტუვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექნათ.

— მართლაც, — ამბობდნენ თაგვები: — რატომ ასე
ლაპრულად ვიქცევით, ეს ხომ სირცხვილია? მივ-
ხედოთ იმ კას, საუკეთესო ვაჟკაცა ვკარგავთ. —
სთქვეს, და დაემზადნენ მისაშველებლად. ცველაზედ
წინ-წინ ცქმუნა მიუუნცულდა ფიცხელასთან ვიშ-
ვიშით.

— მოგიკვდა ჩემი თავი, — ამბობდა ცქმუნა და
თან ცრემლებს იწმენდავდა თვალებიდან: — აბა, რაღა
თავი ქვას ვახალო და როგორ გიშველო? უნდა გა-
გევონა, რომ გაფრთხილებდით! მეტად უჯიათი¹⁾
ზასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე. შენი თავიც დააღო-
ნე და ჩვენაც. — უსვამდა ცქმუნა გარედან თათს,
ცდილობდა გაეგლიჯა სათაგურის მავთული.

— ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის. როგორც

¹⁾ ახირებული, თავის ნათქვამი.

იქნება გამოვალ. ნუ ტირით! მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდეს! და თუ ვინიცობაა მოკვდე და მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნები მარტო საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი კაკლი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული: ამოილე და მოიხმარე.

— შე გასახარელო, მაგის დარღი მაქვს ეხლა? — უპასუხა ცქმუნამ, თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თავვებიც მოვიდნენ ჯარად და. შემოერტყნენ გარს სათაგურს. ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულს თანა-მოძმეს უბედურება. ფხორა მაღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვა-მდა; სხვანი ბანს ეუბნებოდნენ. თავვების ზარი გაიმართა, მაგრამ ისევ ფიტხელა უტევდა, ამხნევებდა:

— ნუ ტირით, დანო და ძმანო, მე თქვენი ჭირის სანაცვალო ვიყო; მაგრამ ჯერ კიდევ იმდია დავეხწიო ამ წყეულ საპყრობილეს, — სოჭვა ფიტხელამ.

— საიდან და როგორ, მოგიკვდა ჩემი თავი? არ შეიძლება! — უთხრა ფხორამ.

— სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გავჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, — მიუგო ფიტხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თავვების გუნდი. ზოგნი ლოცულობდნენ და ლმერთს. ეხვეწებოდნენ დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანა-მო-

შმე. სხვანი გარედან მახის მავთულებსა ღრულნილნენ, ტყუილად თავ-პირს იმტრევდნენ. გათენდა კარგად. უნდა წასულიყვნენ თავ-თავიანთ ბინაზედ, მაგრამ ფიცხელას მარტოლ-მარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ემძიმებოდათ.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფიცხელას, ჰპა-ქავდა და საყვედურით ავსებდა.

— ჰელე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი: ვერ ამოგშეხამდა?.. ვენაცვალე ლმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა. გამობრძანდი რალა, თუ კაი ბიჭი ხარ! — ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

— გამოვიდე? მაშ შენ გვერდია სულ აქ ვიქნები? ვაი დედი შენის ლმერთს, თუ გამოვედი! მაშინ მი-ცნობ, როგორი ფიცხელა ვარ: იქნება შენი ქათი-ბის ბეწვი ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავემწყვდი. მოიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ჰნახავ შენს სეირს, — ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ვეღარ მოითმინა და ნემსას თა-ვში თათი ჩაჰკრა.

— განა ისეც დაეცა ფიცხელა, რო შენც მაგას ეუბნებოდე, შე წუპაკო¹⁾, შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან! — შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ასევე მოეპყრნენ ნემსას და გააძევეს იქიდან.

¹⁾ წუპაკი — უსუფთაო, მუდაშ პუპყიანი.

თაგვები ბჭობდნენ, როგორ ეშველათ ფიცხელასათვის, როგორ დაეხსნათ იგი საპურობილებან.

— ძმებო, ამხანაგებო! დაიძახა ბოლო დროს კუდამ:—მე ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონე, თუ თქვენაც დამეთანხმებით; ვცადოთ, და თუ არ გამოდგა, ჩამქოლეთ.

— სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ დაგეთანხმოთ,—სთქვეს თაგვებმა.

— მე, იცით, რასა ვფიქრობ?—განაგრძო კუდამ:—ეს რაღაც წყეული მანქანა შემოიტანა ამ ჩვენს სანადიროში შეჩენებულმა ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიძყრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა; უნდა აქედან გადავკარგოთ, შევებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიღამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკრებს? ბევრ სხვას უმცეცარს ჩვენის ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

— მართალია, მართალი! ყოჩაღ, კუდავ, —დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად:—მშვენიერი აზრია, მშვენიერი. ფიცხელასაც ამ საუბარზე მეტი გული მოეცა და უფრო მამაცად და მარდად დაიწყო სათავურში სირბილი და ზედ ბლოტიალი:—აბა შევუდგეთ საქმეს; დაგვიანება ხელს არ მოგვცემს: მოგვასწრობენ და ავს დღეს დაგვაწევენ. თაგვები ერთად მიეხვივნენ სათავურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კულზე ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას—კუდა,

კუდას—ცქმუნა, იმას სხვა, იმას სხვა, და გაიჭიმა გუ-
თნეულ¹⁾ ხარ-კამეჩებივით თაგვების გუნდი.

— აბა გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმე-
რთს ვენაცვალე!—აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა!—
დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ!—მართლაც
თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფ-
რო გამხნევდნენ.


— ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკედეს
ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს,—უთხრა ამან
ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქვამად
შეისვენეს.—შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად
გასწევთ!—ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

— ეს რა კარგი რამ მოიგონა კუდამ, ვერ
უყურებთ?! ამბობდნენ თაგვები:—მეტის მოგონება
შეუძლებელია!.. კუდაც თავ-მომწონედ ულვაშებს
აცმაცუნებდა.

— მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია?
არა, ძმობილებო, მეც ჩემი კუუითა ვცხოვრობ.
იცით, რა ოინები გამიშვია, სად გამომძერალვარ,
სად გადამხრარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მო-
მაკვნიტა! ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამოვუ-
სხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ე
მაგისთანა ოჩხო-მაჩხო²⁾ რაც შემეჯახება, მუდამ
გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად

¹⁾ გუთნეული—შვიდი-რვა უდელი ხარ-კამეჩი, რომე-
ლსაც გუთანში აბამენ კართლ-კახეთში.

²⁾ გაბმულ-გამობმული.



უნდა გაიფუქოს კაცმა? გიერი ვარ? კაკლიანს, თხილიანს კუდში¹⁾, ან გოდორში შევძრე! რა ჰერა იყო, რომ ერთი ლებანის გულისათვის ფიცხელამ თავი გაიფუქა?!

— თუ ჰერა არ იყო, ვაუკაცობა ხომ იყო? — სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: — მაგის მეტი რა გეთქმევათ ან კი? ვაუკაცის გული სულ სხვაა. თქვენ რა ვაუკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დასხლტა, თქვენ დაფიხით: გეგონათ უკან გამოგეკიდებოდათ; მაგრამ უნდა გენახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკაწრე მავთულები... მაშ!..

ის იყო გათენდა, როცა თავვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წრიპინებდნენ, წრუ-წუნებდნენ, ამნევებდნენ ერთი მეორეს, ბეჯითად გაეწიათ და აეთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ, ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტეოდა, და მაინც თავებს აკლავდნენ.

IV.

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე აღრე გამოიყვანა: ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია-კი საჭლში მზარეულობდა, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულე-

1) კოდი — დიდი კასრი (ბოჭკის მსგავსი).

ბისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ
არ დადგებოდა. ეფემიამ ცველაფერი მოამზადა. ლვი-
ნიც ამოილო ქვევრიდან დოქებში და ავერ ესტატეც
გამოჩნდა თავის სტუმრებინად. წინ მღვდელი, მო-
ხუცებული მაქსიმე მოდიოდა, წითელს ბზის ჯოხს
მოიბჯენდა, თეთრი წვერი გულმკერდზე სცემდა,
გაუინგლილებული¹⁾ სახით მხიარულად მოლაპარაკო-
ბდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკანი, გასწავლებელი
სპირიდონი, „ატსტავნო“²⁾ კაპიტანი³⁾ მიხეილი,
რუს-ოსმალეთის ომის⁴⁾ დროინდელი გმირი, რომე-
ლიც სოფლად ცხოვრიბდა თავის მამულში და თა-
ვის სიცოცხლეს ატყბობდა, გუნდებს იხალისებდა
წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაუკაცო-
ბაზე და გმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამ-
დენიმე გლეხეცი. ეფემიამ დაინახა-რა მომავალი.
სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას და გა-
დაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა, დაალაგა
პურები, დადგა შუა სუფრაზე ბლუდი, რომელზე-
დაც ჯერ ისევ ორთქლი ასლიოდა აღმა ფეხებ—
აშვერილს დედალს. ჩამწურივა ბოთლები, დაალაგა
სხვა და სხვა სანოვაგე. ავერ სტუმრებიც შემოქუ-
ჩდნენ დერეფანში და აუტეხეს ფეხებს ბრახა-ბრუხი;
იყრეინებდნენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.
—მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, —არა-
ფერი უშავს: ნუ შესწუხდებით, იატაკი არ გაფუჭ-

¹⁾ გაწითლებული.

²⁾ სამსახურიდან გამოსული.

³⁾ სამხედრო ჩინი—მეხუთე. ⁴⁾ ეს ოში იყო 1877/8 წლებში.

დება,—უთხრა სტუმრებს ეფემიაშ, რომელიც წინ
გაეგება და გულმოდგინედ ეპატიუებოდა სახლში.

— მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით
მრავალს: მეუღლით, შვილებით! — ულოცავდნენ სა-
თითაოდ სტუმრები.

— გმადლობთ, თქვენიანად! — უპასუხებდა დია-
სახლისი და თან თავს უკრავდა ყველას: — აბა, მზადა
ხარ, ეფემია — ქალო! ? დეეკითხა ესტატე მეუღლეს:
— გვშიან. აი მამა მაქსიმე სულ მუდამ იმას გვიბძა-
ნებს ხოლმე, პური და ლვინო ახარებს გულსა კა-
ცისასაო, — დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

— ლვის მოწყალებით ყველაფერი მზად არის, —
წარმოსთქვა ეფემიამ.

— ოლონდაც რომ ახარებს, — სთქვა მამა მაქსიმემ
და ესევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიუა ესტატემ
სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდნენ, ზოგნი
მუთაქებზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ¹⁾. — არყით და-
იწყეს. თამაღლება ყველამ ესტატეს მიულოცა, ჯვრ ერ-
თი — როგორც ნაკურთხს საზოგადოების ამორჩეულს,
და მეორეც — როგორც მასპინძელს. ესტატე პირვე-
ლად უარზე დადგა, ბოლოს დასთანხმდა, გაჩაღდა
სმა-ჭამა. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანა-
ვე მრავალ — ემიერი შემოსძახა.

თაგვები რაღას შვრებოდნენ? .. — ეწეოდნენ სა-
თაგურს, რაც ძალი და ლონე პქონდათ, თან აღა-

¹⁾ სკამებზე.



მიანებზე, იმათ ქეიფზე ბრაზობდნენ: ჩვენ ვტირით, ეგენი იმღერიანო. არა-ჩვეულებრივი ფეხების ფხაკუ-ზი აუტეხეს, თან სხვა და სხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვედრებდა. სტუმრები და მასპინძელი კარგად შე-ზარხობდნენ.

— ქალო, ეფემიავ! — დაიძახა ესტატემ: — ამ გა-
ჯინაში რაღაც ამბავია.

— დამიდგა თვალი! წარმოსთქვა ეფემიამ და
ორი თითი მიიღო ოუჩზე გაკვირვების ნიშნად: —
ფაცა-ფუცში სათაგური როდილა მომაგონდა; უეჭე-
ლად თაგვი გაებმოდა, — წარმოსთქვა ეფემიამ და გა-
ეგმართა განჯინისაკენ. — განა ერთი, დედაკაცო, აქ
ისეთი ხმაურობაა, რომ იქნება ასი ერთად დაგიჭი-
როსთ სათაგურმა, — სთქვა ესტატემ.

— ხმაურობა ღიღი ხანია ისმოდა, მაგრამ ყუ-
რადლება არ მივაჭკიეთ, — სთქვა მასწავლებელმა და
სხვებმაც შეუმოწმეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს
სწრაფულ ხელი დაატანა; შიგ თაგვი შენიშნა, ხოლო
სხვა თაგვები ვერ დაინახა, რაღაც ჭანჯინაში ბნე-
ლოდა. სათაგური გაღმოილო და — აი საკვირველება!
მთელი აკიდო¹⁾ თაგვებისა თან გამოჰყა: ცელქა,
ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრა-

1) ვაზის რქის ნაკერი, რომელსაც აქეთაც და იქითაც
მტერენები ჰქიდია.

ვალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სპუიტა, კიქები ხელში გაუჩერდათ და პირ-ლიად დაუწყეს ცქერა. თავვები მაგრა ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად, მაგრამ, რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა დააჭცევინა და ამანაც: „ჰაი, შე წყეულოვო, „—მიაყოლა თან; კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე; ცქმუნა კაპიტან მიხეილს მიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისკენ წაიღო მტრის მოსაგერებლად ხელი წყეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შერჩა. ფხორა მამასახლისის წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალპირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულს ძელებს, მაგრამ იმან, თითქას აქ არაფერიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აუა-ზაური: „ჰაი, თქვე წყეულებო!“ „დაგწყევლოთ ლმერთმა!“ „ვაჲ, რა აჩხავია?“ გაისმოდა იქეთ—იქიდან. ქეიფის ნირი¹⁾ გააფუჭეს თავვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაცა სწყინდათ: მასხარად გვიგდებენ, თუ რა არისო? თავვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა, და მოინდობეს იმაზე ჯავრის ამოცრა. მოითხვეს საღვისი, უნდა დაეჩხვლიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ ინძრეოდა; გაფითრებული დაბლიდან აძგვლენდა²⁾ საბრალოდ

¹⁾ ნირი—ე. ი. გუნება.

²⁾ აძვრენდა-აცოცებდა; (ქურდზე იღყვიან).

ოვალებს. გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბეღი. „აააჭ, რაზბონიკ!“¹⁾ გადაუტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩვლიტათ ფიცხელა, მოეკლათ სათავეთის გამოჩენილი გმირი და ისიც გულ-ჩათუთქული, მუხლ-მოკვეთილი მოელოდა სიკ-ვდილს.

დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაჩვლეტა, წა-მება, მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა. — არა, ბატონებო, მე როგორც თამაღა ვათავისუფლებ მაგ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და ეგ თაგვიც ალბად რითომე შესანიშნავია, რომ თავის თანამო-ძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, რო-გორ ეშველებოდნენ თაგვები და უნდოდათ მისი გათავისუფლება? უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისთვის, ზოგოც მე მიხათრეთ! — რა გაე-წყობოდა, დაეთანხმნენ ძალაუნებურად ესტატეს და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშეა გარეთ თოვლ-ში, რომ ეგები იქ მაინც მომკვდარიყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუქს აყენებდა და გამალებული ეცა ბელლის²⁾ ქვეშ... როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამ-დენს ტყუილს შეჭხანხლავდა?...³⁾

სტუმრები ჰყეირვობდნენ თაგვების ამგვარ ერ-

¹⁾ ქართულათ, ავაზაკი, ყაჩალი.

²⁾ ბელლი—მარცვლეულობის შესანახი ოთახი, (ფიც-რისას აშენებენ).

³⁾ ხელდახელ მოიგონებს, გამოაცხობს


თმანეთისაღმი შებრალებას და თანაგრძნობას. გას-
წავლებელმა ეს განმარტა და რამდენიმე მაგალითი
მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრები-
დან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა სადღე-
გრძელოებს; თაგვები დაეძებდნენ ერთი მეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს
ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ
საღამოზე ერთად, დაჲკრეს დაფს, დოლს, დაირას,
დუღუქს, ზურნას; ლეკურს თამაშობდნენ, მღერო-
დნენ. ფიტელის კაში ისროდნენ, ხელზე იქორქო-
რებდნენ¹⁾; ჯე უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამა-
ყად გამოიცეირებოდა, გამარჯვებას დღესასწაულო-
ბდა.



1) ილოლიავებდნენ, ეფერებოდნენ



როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზე?

I.

— გალლები სადღა არიან? — იკითხა იოთამშა, როცა სახლში შევიდა, — ისრით ილლია-გაგმირული, ტყავ-გაუხდელი არჩიო¹⁾ კერაზე დააგდო ისე დაუდევრად, რომ ნადირის წვერ-მოქაუჭებულმა რქებმა მიწაც კი მოჩიჩენა. ვერ იყო იოთამი კარგ გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის წურწურით წყალი გასდიოდა, ავდარს დაესველებინა; მშვილდი და კაპარე (საისრე) დედა-ბოძზე წნელით მიმაგრებულ ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუჰყირო: ტანზე გარექცევ²⁾ ნაცვამი ჯიხვის ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყო პირისახეზე ადენა; თბებულდა ცეცხლზე და თან ცოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კერის შორი-ახლოს იწვა არხეინად. ძუ ვეფხვა ჰევანდა! გველ-ხოკერასავით³⁾ სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან, ბეჭებზე, ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულ-მკერდზე

¹⁾ ანუ ფსიტი, მთის ნადირია, ძალიან გრძელი და ხმალსავით მოქვანილი რქები ეზრდება.

²⁾ გადმობრუნებული.

³⁾ ზლოკვესავით.

ელაგა... პირისიახე მოსინულ¹⁾ სპილენძს მიუვავდა. პატარა ბიჭს, იოთამთან ნაყოლს, ჭუქუს აწოვებდა. ბავშვი ორის... ხელით ჩაპბლაუქებოდა და გაშმაგებით სწოვდა ტუჩების ტკბარუნით. ვეფხვის ლეველი ვეფხვის რძეს შეექცეოდა. დედა-შვილნი განცხრომაში იყწნენ. ლოგინად არჩევებისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსა და ლელზე²⁾ დაფენილი.

ეს შეორე ცოლი იყო ითამისა, მოტაცებული, ნანაღირევი: ტყეში შექხედა, სანაღიროდ ნაგუფი, სტაცა ხელი, არც აცივა არც აცხელა, პირდაპირ თავის ქოხში ამოაყოფინა თავი: შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი მონა-მორჩილიო. მდევრად წამოსული ცოლის ძმები ისრით დახოცა, სიმბრტს ქვით გაუტეხა თავი, კინაღამ ისიც საიქიოს გაისტუმრა. ითამი ძალიან მძლავრი, მამაკი, ადამიანი იყო.

ქმრის გამოხმაურებაზე ცოლმა მხოლოდ გად-
მოიხედა, ცეცხლივით შავი თვალები გაღმოანათა,
ოდნავაც არ შენძრეულა.

— ბალლები სად არიან-მეთქი, შენ გეკითხები? —
განუმეორა იოთამშა.

მოუხეშავს, ბრიყვს, სასტიკ იოთამს ფრიად უყვარდა. პირველ ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, მხია და ვეღწვია.

1) მოსინული სპილენძი—მოუკალავ სპილენძზე მოდებული მწვანე ფერის შხამი. ასეთი ქვაბი საჭმელს კალავს.

2) ლელი—(მცენარეა) წერილი, შავი ლერწამი, პრტკელ და გრძელ ფურცლოვანი.

— ძროხები დაუკარგიათ, იმათ საძებნელად დავ-
გზავნე, — უპასუხა ცოლმა.

— ოქ, ოქ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცოცხ-
ლე შხამი გახდა შენს ხელში, დედაյაცო! ხუთი-
ექვსის წლის ბალები ამ უკუმეთს¹⁾ ღამეში რა
ძროხებს მოვიძებნინ?! ვინ იცის, რა დაემართებათ
ამ უკუმეთ ღამეში? გინდა ისინიც ნადირს დააჭამო?
ამდენს ჩემს სულით ტანჯვას, ჩემი შვილების წვა-
ლებას, ბარებ ერთხელ თავები დასკერ, მორჩი და
გაათავე, შენც მოისვენე და მეც მომასვენე! — სთქვა
გაჯავრებულმა იოთამშა.

— შენ გააჭირე საქმე და შენმა შვილებმაც!.. რა
გახდა შენი შვილები, გველის წიწილები ცოტაა
ქვეყანაზე? — უპასუხა განრისხებულმა ცოლმა.

გაშტერებული იოთამი დიღხანს უცქეროდა
ცოლსა.

— ჰაი, შე გველო, მართლა და გველო! — წარ-
მოსთქვა მან ბოლოს. მაშინვე ჩამოილო კაჩ-
ხიდან შუბი და გავარდა გარედ. წვიმა კოკის-პირუ-
ლად ასხამდა. მიღის იოთამი უგზო-უკელოდ, თავ-
ბრუ ესხმის. ერთხანად შედგა, ჩაფიქრდა, უნდოდა
დაბრუნებულიყო, ცოლისთვის სამაგიერო გადაეხა-
და, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეშალა. გასწია
პირდაპირ, მიღიოდა როგორც გატყორცნილი ისა-
რი. თავი შეყო ხშირს დაბურულს ტყეში, ავიდა
მაღლობზე და ყვირის:

¹⁾ უკუმეთი — ძალიან პნელი.

— ჰაი, ვეფხვიავ! ჰეი, მზიავ!

პასუხი არ მოსუა არავინ. იმის ძახილზე მხოლოდ წაღირნი გარბოდნენ, მიალაწუნებდნენ; ხის ტოტებიდან დამფრთხალი ფრინველები, ზოგი ჰაერში ფარფატებდა, ტყის თავზე, სხვა—ტყე შივე დაფრთხიალებდა, დასაჯდომ ალაგს ექებდა.

დადის თავ-გადაგლეჯილი, ხელებ-დასისხლიანებული, თავ-პირ გადაკაწრული:

— სადა ხართ, ჩემო შეიღებო, ოქვე საწყლებო, სადა? ჰაი, ვეფხვიავ, ჰაი, მზიავ!

ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი მალალის ხმითა ჰყვიროდა. ამაო იყო მისი ძახილი: გალმა ფერდობებიდან მხოლოდ კლდეები გამოხმობით, გამოძახილით, უპასუხებდნენ.

თმა-გაწეწილი, თვალებ-დაფეთებული იოთამი გიუსა ჰგავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, არ იცოდა სად დაედგა ფეხი, რისთვის ეხლო ხელი, უველგან თავისი შეიღები ეგულებოდა. „ასე მალე ისე შორს სად წავიდოდნენ, რო ვეღარ შევხვდიო“. ---ფიქრობდა თავისთვის...

— ჰაი, მზიავ, ჰაი, ვეფხვიავ!

როდი იცოდა საბრალომ, რომ მისი შეილები დედინაცვალმა იმავე სალამოთი დაირეკა კარში, როცა ის სანაღიროდ წავიდა და დღეს მესამე ღამეა, რაც იმათ ტყის ჭერი ჰფარავს, ნიავი ეალერსება დედასავით, ნაკალულები უამბობენ სახუმარო, საცინელ, სასიამოენო ამბებს,— რომ

ისინი ცოცხლები იყვნენ მხოლოდ. სხვა სახით; იმათი ხმა, ძარღ-ძუხილი კიდეც ესმოდა, მაგრამ არ იტარდა, ეს ხმა ფისი, ან რისი იყო. უკვირდა-იოთამს: კაცი ბერდება ამ ტყეში და ჯერ ამისი მსგავსი არაფერი ჰსმენია; რა იყოდა თუ მისი შეი-ლები ეძახოდნენ ერთი მეორეს; რას ეძახოდნენ, მით უმეტეს, არც ის ესმოდა..

II.

დედი-ნაცვალს არ ეხდინებოდა ¹⁾ იოთამის შვილები, უნდოდა იმათი თავიდან მოშორება და, აი, ლონე იხმარა: იმ სალამოსვე, როცა იოთამი სა-ნადიროდ წავიდა, როცა ვეფხვიამ და მზიამ საქო-ნელი მორეკეს, იმათ შეუმჩნევლად ეს საქონელი ბაკიდან ²⁾ გამორეკა, უჩინარ ადგილას მოაფარა, ხოლო გერებს მოუშარა, „საქონელი რად დაგიკარ-გიათო, გასწით მოძებნეთო.“ ბალლების თავის მართ-ლებამ ვერ გასჭრა. ნახეს, —საქონელი ბაკში აღარ იყო:

— გასწით, გასწით, ამ წუთში იპოვნეთ საქო-ნელი, უიმისოთ თვალით არ დამენახოთ, თორემ ამ სიპებზე გაგინაყოთ თავს.

დედინაცვალს ორივე ხელში სიპი ქვა-ეჭირა, ერთი შეორეს ტაშივით შემოჰკრა; ისე

¹⁾ არ ესიამოვნებოდა, სძულდა.

²⁾ საქონლის საზაფხულო დასაბინავებელი ადგილი, შემოლობილი, კარებით, მაგრამ უსახურაო.

შევეთრად და საჩრდინო კილოთი წარმოსთქვა ეს სიტყვები, რო ბალებს ტანში ურუანტელშა დაუარა. „მინამ არ იპოვოთ, თვალით არ დამენახოთო!..“ საშინლად ბნელოდა. ბავშვები ტირილით გაუდგნენ გზას, მაგრამ სად იყო გზა? ულრან¹⁾ ტყეში უგზო-უკვლოდ დახეტიალობდნენ, ერთმანეთს კუვროდნენ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიღიოდნენ, ერთი რომ წაიქცეოდა, მეორე აყენებდა ფეხზე. მოსთქვამდნენ; გარკვევით ისმოდა იმათი ტირილი. „ვაი, დედი, ვაი დედიო!“ — უხმობდნენ დედას — მოჭმველებოდა, მაგრამ დედა არსადა სჩანდა. იმათ გარშემო მხოლოდ მხეცების ბრდლვინვა²⁾ და ფშვინვა ისმოდა. ბალების ტირილზე ზოგი მათგანი დამტრითხალი გარბოდა, მაგრამ ზოგი-კი, სიშშილით შეწუხებული, პირ-დაღებული თავზე წაადგებოდათ, მაგრამ ბალების ორიანცელი მოსისხლე მხეცსაც კი გულს ულბობდა, ერიდებოდა — გვერდზე აუვლიდა იგი. ჩამდენჯერ ორთქლ-მავალივით თვალები შეანათა მეცემა, მაგრამ თავს დაცემას ვერც ის ბერავდა.

ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდნენ, ცახ-ცახებდნენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკედილს მოელოდნენ; საქონელი კი, ოხერი, არსადა სჩანდა. თავის დაცვის ძალ-ღონე არა ჰქონდათ.

— ამ, ლმერთო, ლმერთო! — წარმოსთქვეს ერ-

¹⁾ ხშირსა და მიუვალს ტყეში.

²⁾ ხმაურობა.

თაღ. ერთხმად, ერთ ლილ კანდრის ფესვებში მიკუნკულებმა:

— ლმერთო, გვაქციე ფრინველებად, რომ მალლა, ხეზე, შევაფაროთ თავი, მხეცებმა ველარაფერი დაგვაყლონ, ადვილად მოვიაროთ ეს არე-მარე და მალე ვიპოვოთ საქონელიო.—სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა“. ხომ გაგიგონიათ ძევლი თქმულება—ამინი დღეში სამჯერ ჩამოივლისო და რასაც იმ დროს ინატრებს კაცი, უნაკლულოდ აუსრულდებათ. „ამინი“ ერთი თვალის დახამხა-მებაზე ხდება. როცა ვეფხვიამ და მზიამ ფრინვე-ლობა ინატრეს, „ამინმა“ ამინი დაუცა და გადაიქ-ცნენ ბუებად. ერთმანეთის გამომშეიღობება ვერც კი მოასწრეს. ერთი ერთ მხარეს გაფრინდა, მეორე—მეორეს და შეუდგნენ თავ-შესაფარის ძებნას. დღე დედინაცვლის შიშით ვერ გამოდიან კარში, იმალე-ბიან ხის ფულუროში. სხვა ფრინველებსაც იმიტომ ეჯავრებათ ბუები, რადგან თვის ტომად, თავისიანად არა სცნობენ. ამიტომ ჩვენც, ადამიანები, როცა ერთს ვისმე აწვალებენ, დასცინიან, სტანჯავენ მრა-ვალნი, ვმბობთ „აიბუეს საწყალი კაციო!..“

დიალ, გაფრინდნენ საწყლები სხვა და სხვა მხა-რეს და შეუდგნენ თავიანთ საქმეს—საქონლის ძებ-ნას.

რამდენიმე ათასმა. წელმა განვლო დღევანდ-ლამდე, ისინი-კი ისევ გულმოდგინედ დაეძებენ და-ნაკარგს. უძახის ერთი მეორეს, ეკითხება: „ვერ

იპოვეო?“ — „ვერა, ვერაო.“ უპასუხებს მეორე და
თავიანთ ამაო შრომას „ვაი, დედიო, ვაი დედიო!“ —
ამ სიტყვებით აბოლოვებენ...

III.

იოთამი არა სკრებოდა, გაფაციცებით დაეძებ-
და შვილებს, იმას საქონელი აღარ აჯავრებდა. არ
გადურჩია გაუჩხრეკელი არც ლრანტობი, არც ხის ძირი,
არც კლდის ძირი. ამაო იყო ყოველი ცდა, არსად
სჩანდა დედა-მიწაზე იმის შვილების კვალი. ღამ-ღა-
მობით განუწყვეტლად ესმოდა ეს საუცხოვო ხმა —
ბუების ძახილი; ბევრჯელ ვაის ძახილით თავზედაც
გადაუარა ბუმ, მაგრამ ერთმანეთს ვეღარა სკობ-
ღნენ მამა-შვილები. მთელი ორი კვირა შვილების
ძებნას მოანდომა. რასაც კი მტაცებელს ნადირს, თუ
ფრინველს შეჭხვდებოდა, ისრით გულს უპობდა:
ღმერთმანი ააცდენდა, საოცარი მსროლელი იყო
მშვილდ-ისრისა! ერთხელ გალეშილი, თავპირ-გა-
სისხლიანებლი მგელი ნახა ტყეში. მაშინვე გულში
ფიქრმა გაუარა: უთუოდ ჩემის შვილების სისხლით
აქვს მგელს ლაშები მოთხუპნულიო. დიდხანს არ
ალოდინა, ხელდახელ მოიმარჯვა მშვილდი, გაუდო
ისარი და მოსწია ლარის. ისარი სტვენით წავიდა და
ნადირს გულში გაუარა: ასე გულეურად¹⁾ ისარი
არასოდეს არ გაუსროლია.

¹⁾ მონდომებით, მოწ-დინებით.

— ոչ, Ցյ Շպառլո, Ցյ մոսուելլց, Ցյ ճասկամյ
հյմո Ցյոլլցի՞ն?

Քայլածնեմուրա ոոտամո. Օլա՛ր պալա նադուրս—
տացուտացած թույզարուոս, պշորյեթո ճասբապա
և աոտրոօ, տացմո լուրհմեցոտ թույզելոլս ხյե-
ճաս¹⁾ Շվենճա:—մոյզու, արամիաճազ, թույզո!—
տան ხաեան եյլլեցն Շպառլո. Թցըլլս և ոյզուուոլո
ար այմարա, ճանոտ թուպուո գաճուսցրա և Շոշ
եյլլեցն ացատուրյեծու, տոտքոս պութլլեցն ամո-
րեյացու թցըլլուո թուպուուան տացու Ցյոլլեցն. Հոռ-
ու զերացուրո նոմանո օձոցա, գալությազեծելս նա-
դուրս մունցիա տացու. Շպառլուուան օսարո ամուսիոն,
զաֆմինճա Տուելուուան Վրու (օսարից ճասացյեծո Շվետու-
նո հյունա), Քացու Տանուուշո և Վազուո. Թյուրց ճուց
մոյպալու²⁾ ծշնացմո նաֆուուու ճատցու, — Հալապ պարու-
լուո ժցալոս երացու.

— Ցյ ճասկամյ հյմո Ցյոլլեցն ճա աելս գց-
լեցն երաց, Ցյ թուրալո՞! — ճատցմա թեռ-
լուու ճրուուու լուսուեա, լոյան լոյեցնեց Ցյուցա,
ոոտամուո թուսացը լուու լուուուու, մացրամ ոոտա-
մուո Վայրմաեցումա Շումա օլա՛ր ճաապալս և ոյզո
սուլո գաացրուեան... ոոտամմա ժցլլեցն ճաային
Տոնչու, մացրամ, ճատցուո նաերացո ժցլլեցն յրուու
ար գամուցա աճամունսա. Ճարիմունճա, Հոռմ արպ

¹⁾ Խվեճա—եու գուցո հայշիո.

²⁾ Վաճցա.

შეელს და არც დათვს იოთამთან არაფერი დანაშაული...არა ჰქონდათ, მაგრამ იმათი დახოცვა მაინც არ ენანებოდა...

IV.

— რავქნა? — წარმოსთქვა იოთამმა — მოელი დედა-მიწა გადავჭყვენე¹⁾, გადავქექე, გადავბზარე, კინაღმ გადავაბრუნე და ვერ ვიპოვე შვილები. ნუ თუ დედამიწამ უყო პირი და ქვესკნელს ჩაიტაცა? იქნება ცამ ცაში აიტაცა საცოდავები? აღარ ვიცი, საით წავიდე, აღარ ვიცი, რალა ვქნა? რა წყალს ჩაუდე?²⁾ — ოხრავდა და ბორგავდა³⁾; მუხლები ეკვე-თებოდა, წელში მოიხსრა ასი წლის მოხუცივით. მალ-მალ გიყივით წამოიტყოდა:

— ვაჭმე, შვილებო, საწყლებო, უსუსურებო, ჩავდეგ თქვენს ცოდვაში ეს თავ-მკვდარი, ესა!

კლდეზე ბლოტიალში⁴⁾ ვეფხვს წააწყდა, ერთმანეთი მალე იცნეს. ვეფხვი გულიანად მიესალმა.

— გამარჯობა, ჩემო კეთილისმყოფელო, — მიახალა. პირში ვეფხვმა, როცა იოთამისა და ვეფხვის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

— გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ვაი

¹⁾ გადავაქოთე.

²⁾ რა წყალში ჩაევარდე.

³⁾ შეოთავდა, ძალიან ალელვებული იყო.

⁴⁾ ბლოტვა — მიუვალ ადგილას აცოცება ხელების შემწეობით.

ამისთანა გამარჯვებას, მე რომ გამარჯვებული ვარ.
— სთქვა გულ-ამოსკენით იოთამშა.

— რაო, რა დაგმართნია? რა ამბავია? რა საქმე
წაგიხდა ისეთი, აღარ შეიძლებოდეს გამოვაყეოთო?
ნუ თუ ველარას უშეველით, ვერაფერს ვუწამლებთ
შენს ვარამს? — წარმოსთქვა ვეფხვმა და თანაც მო-
შავთრო სალტებით აჭრელებული კუდი გავაზე შე-
მოიგდო ნიშნად იმისა, თუ შენ რამ გიჭირს მე ხომ
არ გამიჭირდებაო. ვეფხვი ფიქრობდა, იქნება ველარ
მოკლა ნადირი და დახმარებას მთხოვს, ისევე
როგორც წინად დაეხმარებივარო. მართლაც ამ
ვეფხვმა იოთამს თბაზე უმრავლესი ნადირი მო-
კვლევინა, ზედ შეაგდებდა და იოთამი ისრით ხო-
უადა. რა თქმა უნდა, იოთამისაგანაც სიკეთე მო-
აგონდებოდა და სიკეთეს ვეფხვიც სიკეთით უხდიდა.
კლანჭიდან იოთამმა ვეფხვს სიპი ქვა ამოულო, ისეთ
დროს უექიმა, რომ ვეფხვს აღარ შეეძლო მოძრაო-
ბა. იოთამს შველა სთხოვა და ამანაც არ დაიზარა
მიშველება, ამის შემდეგ დამეგობრდნენ. ამ დამე-
გობრების ხანში ვაჟიშვილიც ეყოლა იოთამს და
ამას ახალ მეგობრის სახელი — ვეფხვია — დაარქვა.

— შვილები დავკარგე, მეგობარო, უსუსური
ბალები; დღეს ათი დღეა დავეძებ და სრულებით
ვერაფერი გავიგე იმათი ვერც სიცოცხლისა, ვერც
სიკვდილისა. ვინ იყის, იქნება ნადირმა დამიჭამა
შვილები? — მიუგო იოთამშა.

— მე კი ღმერთმა დამიტაროს ადამიანის ლეშს

პირი დაგახლო! განა ფიცია საჭირო? განა იმ სიკე-
თას შემდევ, რაც შენ ჩემზე დასთესე, შემიძლიან-
და ვახლო ადამიანის ხორცს პირი, არა მარტო
შენს და შენობილისას, არამედ ვინც უნდა იყოს,



მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს?! სხვა მხეცებისა
რა მოგახსენო, იმათ ვერ დაუფიცავ. ვერ დაუფი-
ცავ ვერც მგელს, ვერც დათვს, ვერც აფთარს, ვე-
რავის, ვერა. მე, მევობარო, სამსახურისთვის მზადა
ვარ, არ დავზოგავ შენთვის ჩემს ჯანს, ჩემს კლან-
კებს და თვალებს, თვით სიცოცხლესაც-კი; წავიდეთ,

მიუგარ-მოვიაროთ, მოვძებნოთ, ან მკელრებს შევხედებით, ან ცოცხლებს,—უთხრა ვეფხება.

მეგობრის ნუგეშიანი. სიტყვები იოთამს გულზე მალამოდ წაისო. იოთამმა ჩადლობა გადაუხადა:

— თუ მაგდენს სიკეთეს გიზამ, შეც იქნება ისე არ მოვკვდე, — არაფერი გარგო, დიდადა ვარ შენგან დავალებული და ეხლა თითქმის ყელთამდე ავივსე შენის დავალებით. ძალიან დიდი მაღლობელი ვიქნები, თუ ჩემის გულისთვის გაირჯები. — უთხრა იოთამმა. წავიდნენ სხვა და სხვა შხარეს და თანაც პირობა „დადეს, ამავე ადგილას შეყრილიყვნენ, სცდილიყვნენ ერთი მეორისთვის და გაეგებინათ ერთმანეთისათვის. საჭმის ავ-კარგი.

ვეფხევი გულმოდგინედ შეუდგა მეგობრის შვილების ძებნას, მოვლო მთელი მიღამოები. იოთამსაც, რა თქმა უნდა, არც დღე ეძინა, არც ლამე.

ბევრი იარა, ცოტა იარა, მიადგა ერთს გდინარეს.

— მდინარევ, მდინარევ, ხომ არ გინახავს ჩემი შვილები, ჩემი მზია და ვეფხვია? ნუ დამიმალავ, სწორე მითხარი? ხომ არ მოსულან შენს კიდეზე? წყალი ხომ არ დაულევიათ? იქნება შენ დაარჩევ, მაგრამ რა შვილი მეტყვი! ¹⁾) — სთქვა რა ეს იოთამმა, თან შუბის წვერი ჩასჩვლიტა ერთს დიდ მორევში..

— რას სჩადი, რას, ეი, ხეპრევ, უგუნურო?

¹⁾ ვითომ იმდენი გამჟედაო? ა, პატიოსნება არ შეგწევს, რომ სწორე მითხრაო.

— წარმოსთქვა გაჯავრებულმა მდინარემ: — შვილები თავად შენ დაარჩევ და, აქ, ჩემთან კითხულობ? შენს შვილებს რა დაუშავებიათ, რო დავარჩო, ისინი ანგელოზებია, უსუსურნი, უმეტარნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი. დასარჩობი შენა ხარ და, რომ შევიძლებდე, არც დაგზოგავდი, რადგან ღირსი ხარ ამ სასჯელისა.

— რადა? რა დავაშავე? — დაეკითხა იოთამი.

— დანაშაული მეტი იქნება? რად ჩაჰყარე ჩვილი ბალლები დედინაცვლის ხელში, თუ შენ კაცი ხარ? როცა ის თვალ-უუფრუნა, თმა-გრძელა შენს კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩევ შენი თავიც და შვილებიც! — მიუგო მდინარემ. იოთამმა ხმა გაკმინდა, თავი დაჰკიდა...

— ჰო, ჰო, უთუოდ არა სტყუი, მდინარევ, — წარმოსთქვა მან ბოლოს — ნამდვილად ჩემი ბრალია. მოდი ნუ დამზოგავ, დასარჩობი ვარ, დამარჩევ!

პასუხს არ დაუცადა მდინარისას, გადაეშვა პირ-დაპირ წყალში. წყალმა წაიღო, კარგა მანძილზე ატარა და გარიყა. როდი დაარჩო! იოთამი კვალად გადავარდა მდინარეში, მაგრამ წყალმა ისევ გარიყა. ასე ცხრაჯერ თუ ათჯერ გამორიყული, ისევ წყალში ეარდებოდა, მაგრამ წყალი არ არჩობდა, ჰქონდავდა, ენანებოდა. ბოლოს გალუმპულმა,¹⁾ რისხვისაგან აცანცახებულმა ერთ გამოქვაბულ კლდეს

1) ძალზე დასველებულმა.

შეაფარა თავი... მოიბუზა კლდის ქვეშ და თანაც
მოსთქვამდა:

— ვაჰმე, ჩემო შვილები, ჩემო ვეფხვიავ, ჩემო
მზიავ!...

უღრანი ტყე, უდაბური ადგილი რაღაც ხმაუ-
რობამ ააზრიალა...

— მზიავ, ვეფხვიავ!...

— კაცო, კაცო, ადამიანო, რასა სტირი? რას
სჩივი? რას დაეძებ? აგერ შენი შვილები, აგერ იმა-
თი ძახილი, ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ
რომ შეხვდე, ვეღარ იცნობ, საბრალოვ! აგერ ერთი
ეძახის: „ვეფხვიავ, ვეფხვიავ, ვერ იპოვე?“ — „ვერა,
მზიავ, ვერაო“, — მეორე უპასუხებს. — უთხრა კლდემ
იოთამს, — ეხლა ტირილით და ჩივილით ვერაფერს
უშველი.

— მართალს ამბობ? სწორეა? საწყლები, ისევ
საქონელს დაეძებენ, რადღა უნდათ საცოდაეებს? —
სთქვა იოთამმა და თვალებიდან ცრემლების წმინდა
დაიწყო.

— მაშ, ვსტუუი? რა საკადრისია. ქვეყანაზე,
რაც მოხდება, განა მე გამომეპარება? არადროს! —
მიუგო კლდემ.

— მაშ, დავიჯერო, გეყურება ჩემი შვილების
საუბარი? — წარმოსთქვა კვალად იოთამმა.

— ნათლად, ცხოვლად, ისევე როგორც შენი
საუბარი, გოდება და გულის ტკივილი. — უპასუხა
კლდემ.

— არ შეიძლება, გეთაყვანე, გამოელაპარაკო
ჩემს მაგივრად, შეატყობინო, რომ მე აქა ვარ და
მინდა იმათი ნახვა, ასე დაუძახო: მამა თქვენი აქ
არის და თქვენი თვალით დანახვა უნდა-თქო,—
შესთხოვა კლდეს იოთამმა.

— სულ ტყუილია, არაფერი გამოვა. ისინი
მაინც და მაინც არ მოგეკარებიან, არც ხმას გაგ-
ცემენ; ვერც არაფერს შენ გააგონებ, დავიწყებული
ჰყავთ მამა, სიტყვა მამა აღარ არსებობს მაგათ-
თვის,—მიუგო კლდემ.

— მაშ, ნეტავი მეც კლდედ მაქცია, რომ ჩე-
მი შვილების ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მე-
ნუგეშებინა თავი.

— ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მაქციე მეც
კლდედ,—წარმოსთქვა იოთამმა ხელაპყრობით.

სწორედ ამ დროს ჩამოიარა „ამინმა“. იოთამი
კლდედ იქცა, აეტუზა, მიეკრა იმავე კლდეს.
სადაც თავი შეაფარა, მხოლოდ იოთამს ადამიანის
სახე შეჰქია. სდგას თავ-დაკიდებული, გულ-ხელ
დაკრეფილი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს.
როცა გაიგონებს თავის შვილების გულის მოძწყვ-
ლელ კივილს, იოთამი—კლდედ ქცეული—დაიწყებს
გულ-ამოსკვნით:

— ვაძმე, შვილებო, ვაძმე შვილებო!..

V.

ვეფხვი, იოთამის მეგობარი რალა იქნა? იჯდა უანიშნულ ადგილას გაუნძრევლად დაყუნთებული და თვალებს აწყალებდა მეგობრის მოსასვლელ გზასა. ერთს ადგილას იყო ტკიპივით¹⁾ მიქრული, აღარც საჭელი ავონდებოდა ვეფხვს და აღარც სასმელი. მიცემულ პირობას არა ჰდალატობდა, ელოდებოდა თავის კეთილის მყოფელს. უცადა ერთი კეირა, უცადა ორი,—თვე, —ორი, ოთხი, მთელი წელი. ხმებოდა ვეფხვი და ღნებოდა ერთ ადგილას დაკერებული. იოთამი არსადა სჩანდა. ჩამოდნა, როგორც ცვილი²⁾), დაეღვენთა დედამიწას. ვეფხვის ძვლების და ლეშის ნალვენთისა ამოვიდა დეკა³⁾ ქუჩად, დაყუნთებულ ვეფხვის სახედ, რომელიც აღარც იზრდება, აღარც ჰატარავდება, არცა ხმება. ვეფხვის მსგავსად ამოსულს დეკას მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუკენობელი პირი-მზე—ყვავილი მთისა.



1) ერთნაირი მუქთა ხორა მწერია, რომელიც გიქვრება ბოლომე ცხენს, ცხეარს, აგრედვე სხვა ცხოველებს და მათი სისხლით იკვებება.

2) წმ. სანთელი (თაფლისა).

3) მცენარეა—ეკლიანი ჭყორი.

გუნების ჭიაღზე¹⁾



— წჰ, ოჲ, რა უბედურებაა..
ლმერთმანი! აღარ მაცლიან, ცოტა
ხანს თავისუფლად ამოვისუნთქო:
ვინც არა მგონია, მთელავს და
მქელავს. ჰშურთ, თუ როგორ
არის, ვერ გამიგია, ჩემთვის ეს
ყვავილები, ჩემი ამწვანება და გამო-
ცოცხლება? სად მოსუანცარებ, სად,
შენ, ეი, ბრუციანო! ტალახი მაინც
მოიშორე ფეხებიდან! — სწყრებო-
და მდელო²⁾ დიდს, ულრანს³⁾ ტყე-
ში მომწყველეული და ათასფრად
ყვავილებით აჭრელებული. კურ-
დღელი-კი კურსაც არ უგდებდა,
დაკუნტრუშობდა, ლალობდა; არ
იკოდა, რასა შერებოდა ბუნების
ეშით დამთვრალი. ნავარდობდა
კურდღელი და თანაც მწვანე ბა-
ლახს შეექცეოდა, ხოლო, ხანდა-
ხან წაულაპარაკებდა:

¹⁾ წიაღი—გულ-მკერდი, უბე.

²⁾ ველი.

³⁾ ულრანი—ხშირი ჭ მივარდნილი ტკი.

— კარგი ერთი, ღმერთი გაგახარებს! აბა, ეგ რა სათქმელია! მაშ, სადღა წავიდე, მითხარი სად, როცა შენზე კარგსა და ლამაზს ვერავისა ვხედავ ამ დედა-მიწის ზურგზე? თითქოს პირველადა მხედავდე! მაშ, რა ვქნა, ტყეში ამოვირთო სული? შევძრე სოროში და იქ ვიჯდე? თქვენ რატომ არა ზიხართ სოროში?! რა გიჭირდათ, აქმდის არხეინად განისვენებდით დედა-მიწის გულში! რად გამოსცვივდით კარში, მზეში თავ-შიშველ-ფეხ-შიშველები? მე-კი არ მინდა მზე დავინახო? პატარა ჰაერი ჩავყლაპო? დილა-სა-ლამოს ცოტა ხნობით გეწვევით და მაშინაც სამდურავით მარჩობთ.

— ისე მაინც დაადგი ფეხები, ყვავილები არ გასთელო! — დუღუნებდა მდელო.

— აბა, რა სათქმელია! კიდევ ის მიყვარს, რომ ყვავილებს ვადგამდე ფეხებსა, და არა მარტო ფეხებს, მთელის ტანით ყვავილებში ვიყო გახვეული, — უპასუხებდა კურდღლელი.

— შენ-კი გაქრი, აჰანდე! — დუღუნებდნენ ყვავილები: — ხანდახან რომ კისერსაცა გვტეხავ, შე კისერ-მოსატეხო! მთელ დღე-ლამეს, ვიდრე წყლული არ გაგვიმთელდება და მაღლა თავს არ ავილებთ, კკვნესით, ვიტანჯებით.

— თქვენ, ქალბატონებო, რატომ ღმერთს მადლობას არა სწირავთ, რომ სრულიად არ გისპობთ სიცოცხლეს, არა გსრესავთ. — ამბობდა კურდღლელი.

— ერთი ამას უყუროს კაცმა! სიცოცხლის

მოსპობასაც გვემართლები? ის არ გეყოფა, რაც ჩვენს თავზე ოინებს ეწევი, სიკედილსაც არ გვიქადოდე? რა უზრდელი რამა ხარ!... მიყვარხართო! კი სიყვარულია, თქვენმა მზემ, ადამიანს თავ-პირს ამტვრევდე, გვერდებს ალეწდე!.. ძალიან სიყვარულია! ეგრე შენ შეგიყვაროს მგელმა, მელამა და კვერნამ¹⁾), როგორც შენ ჩვენ გიყვარვართ...— ამბობდნენ ყვავილები.

— მიყვარხართ, ჩემი ყურების მზემა და რა ვქნა, რა ვსოდეა ამაზე მეტი?— უპასუხებდა კურდელი.

— შენ კი არ გიყვარვართ, თუ სიმართლეს გვათქმევინებ,— მიუგეს ყვავილებმა:— აგერ იმას უყვარეთ; უცქირე კარგად, როგორ თავზე გვევლება, ზედ დაგვეანკალებს, შიშით ლამის ფერფლად იქცეს საცოდავი, ყვავილებს არაფერი ვაწყინო ან ვატკინოვო; ფოთოლსაც-კი არავის გაგვიბრუდებს, როცა გვკოცნის, გვეალერსება, ან გვემუსაიფება.

— ჰმ, ჰმ!— წარმოსთქვა კურდლელმა:— რამდენადაც ლამაზები ხართ, იმდენად სულელებიც ჰყონართ; რატომ არ გესმით, რომ პეპელას ფრენა შეუძლიან და მე— არა. ბარებ კარგი იყო, რაც უნარი მაქს, ამასთან ერთად ფრენაც ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი და რა ვქნა?! მადლობა ღმერთს!.. ეჭ, ჩემო კარგებო, ჯერ თქვენ გამოუცდელი, ხამე-

¹⁾ ნადირია, კარგი ბეწვი აქეს.

ბი, ხართ, გუშინდელი ბალლები, კარგათ ვერ იცნობთ მუხთალ წუთი-სოფელს. როცა გაიცნობთ, მაშინ იტყვით: ნეტავი ისევ კურდღლის მეტბ ცხოველი თვალითაც არ გვენახა, იმის ხელში დაეხო-ცილიყავითო. — უთხრა კურდღლელმა.

— რა ცხოველებია, ან სად არიან ისინი? რა-ტომ იმათაც არა ვხედავთ, როგორც მაგალითად, შენ? — ჰეთხვედნენ კურდღლელს ყვავილები:

— ისინი არიან: დათვი, ირემი, შველი, ლო-რი, მგელი, მელა, კვერნა და სხვა. ჯერ იმათგანი თქვენ არავინ გსტუმრებიათ, რადგან ამ ტყეში სხვა ველებიც ბევრია: ამ არე-მარეს ბევრი გასავალ-გა-მოსავალი გზა აქვს. მე კი ხშირად იმიტომ გხედავთ, რომ ამ მდელოს ახლო დაეიბადე, აგერ აქვე, ტყე-ში, და დედა ჩემს აქ დავყვანდი სასეიროდ. პატა-რაობიდანვე შევეჩვიე ამ მდელოს და მშობელ დე-დასავით მიყვარს... ზევით რომ ცხოველები ჩამოვ-თვალე, ერთ დროს ისინი თქვენც დაგხედავენ, რა გაჩქარებთ, ჯერ ხომ მეტი ხანი არ არი თქვენის გაჩქარებობისა.

— ძალიან დიდრონი არიან? — დაეკითხნენ კვალად ყვავილები.

— უჭ, ზოგი მათგანი ასი ჩემოტელაა. აბა, იმათი ფეხებია საშიში! ლმერთმა დაგიფაროთ, დათ-ვი რომ შემოფრენდეთ, სულ ნაცარ-მტვერად გაქცევთ. ირმის ფეხი თუ მოგხედათ, ხომ, თქმა არ უნდა, იქვე გაგტზანით, საიდანაც მოსულხართ.

ყვავილებმა ერთმანეთს გადაჭედეს და თავი
გააქნიეს.



დაათავა თუ არა სიტყვა კურდლელმა,
სწორედ ამ ღროს მოისმა ტყიდან ფეხის ხმა, ლა-
წა-ლუწი, გაიშრიალა ახალ—ნორჩის ფოთლით. შე-

მოსილმა წიფლის ტოტებმა და ველში გამოჩნდა ხარისხმი, თავის ბოჯოჯლის¹⁾ ჩქებით; ეტყობოდა, ისიც მტერს გაურბოდა, თვალებს აქეთ-იქით აფეთხებდა, ნესტოებს ჰპერავდა. რამდენიმე კამარა გააკეთა და ტყეს მოეფარა, გადალახა ველი... მის ფეხებ ქვეშ რამდენმამე ყვავილმა დაიკვნესა და გაჩუმდა. სხვა ყვავილები თავზარ დაცემულნი გაშტერებულნი მიაჩერდნენ ირემს.

— ემანდე, ეგ იყო ირემი, ვახსენეთ და ვნახეთ კიდეც! — წარმოსთქვა კურდლელმა, როცა ირემი ტყეს მიეფარა და იმანაც ბალახებში ჩამალული თავი ამოჰკო.

— უჰ, რა ვნახეთ, რა ვნახეთ! — წარმოსთქვეს ყვავილებმა: — რამოდენა ყოფილა!

— ეგ არაფერი, — განაგრძო კურდლელმა — თქვენთვის საშიში უფრო ნახირია, რომელიც მოუდიოთ აქ საძოვრად სოფლიდან მწყემსებს. თუმცა, ეს იშვიათად ხდება, რაღაც სოფელი შორს არის აქედან. საქონელი ისე გაგანადგურებთ, რომ მდელოზე, იქნება, კლერტების²⁾ მეტი აღარაფერი დარჩეს. აი, მაშინ მებრალებით; საქონლის მოსვლა მართლა რომ დიდი უბედურება იქნება თქვენთვისაც და ჩემთვისაც! — სთქვა კურდლელმა.

ეს რომ გაიგონეს, ყვავილებს ტანში ურუან-

¹⁾ შტოიანი.

²⁾ ბალახ-მცენარეების ძირითა ღეროები.

ტელმა დაუარა, შეძრწუნებულნი ერთმანეთს ეკვ-
როდნენ.

— ოი, და-და-და, ღმერთმა დაიფაროს! ღმერ-
თმა დაგვიხსნას! — დუღუნებდნენ ერთმად.

ველის ყვავილებმა მაღლა, გარშემო, დაიწყეს
ცქერა; ტყის პირებში თეთრად და წითლად გადა-
ჰქილი ჰყვაოდა პანტა-მაეალოები¹). შევშურდათ
იმათი ბედნიერი ყოფა და შესძახეს დაბლიდან:

— ძმებო, ჩვენც მოგვეცით თქვენთან ახლო
ბინა!

ხეხილის ყვავილებმაც მიიპატიუეს, მაგრამ თა-
ნაც დასძინეს:

— აქ რას მოესწრაფით, თქვე საცოდავნო, მალე
ჩვენც თქვენთან გიახლებით!

დილის მზემ დააფრქვია ველს თავისი სხივები
და დილის ნამი ააბჟყვრიალა. კურდლელმაც მოსა-
სვენებლად მიჭმართა ტყეს.

კურდლის წინაგრძნობა იმავე დღეს ასრუ-
ლდა: შუადლის დროს მდელოს მოეფინა
ძროხის ნახირი, ხამ ბალახს²) ხარბად დაეცა სა-
ქონელი, გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხები ბალახ-
თან ერთად ყვავილებს და ყურსაც არ უგდებდნენ
ყვავილების კენესა-ჩივილს. მონაყრებული საქონელი
იქვე დაეყარა და ფშვენით, ზმორვით, ყბებს იქნევ-

¹⁾ პანტა — ტყის წერილი მსხალი, მაეალო — ტყის
წერილი ვაშლი.

²⁾ ხელუხლებელი, მოუძოვნელი.

და, ყურების ბარტყუნით, თავ-რქის კნევით ბუზებს იგერებდა.

მწყემსი ხის გრილოში იჯდა და არხეინად სა-ლამურს უკრავდა.

თითო-ოროლა გადარჩნილი ყვავილი დიდათ ჰელებდა და თავის სვე-ბედს, ითვა-ლისწინებდა მომავალს და ევედრებოდა დედამიწას:

— დედილო, შენი ჭირიმე, ჩაგვაწვინე ისევ იმ აკვანში, სადაც აქამდის ვიწექით: აღარ გვინდა მზე, აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა და აღარც ასეთი სიცოცხლე, — შენს უბეში ყოფნა გვიჩევნია!

— სსუთ, გაჩუმდით, — შემოსძახოდა ძირიდან დედამიწა — ეგ აღარ გამაგონთ! რა გატირებთ? რა გაჩივლებთ? ვიღრე თქვენი ფესვი ჩემს გულ-მკერდშია ჩაქსოვილი, თქვენთან სიკვდილს ხელი არა აქვს. კიდევ აჰევავდებით, შვილებო, კიდევ გაიზრდებით. მოითმინეთ ცოტა ხანს! მაშ, რად გინდათ სიცოცხლე, თუ თქვენს სიცოცხლეს ნა-ყოფს არ გამოალებინებთ, არავის გააძლობთ, არა-ვის ასიამოვნებთ.

სალამო ხანზე ტყიდან ჩვეულებრივად გამოი-თამაშა კურდლელმა და, რა დაინახა განაღვურებუ-ლი, სატრაფიალო მდელო, სადაც აღარც მწყემ-სი სჩანდა და არსად მისი სამწყემსო, საბრალოს ელდა ეცა; იქვე ტყის პირად დაყუნთდა. ყურები გაუნძრევლად აღმა ჰქონდა აცქვეტილი; დაჭვეტი-

ლი თვალები უფრო დაეჭყიტა, ხოლო თვალებიდან ცრემლი ჩამოსდიოდა. როგორც შვილის კუბოს დედა, ისე დასტიროდა კურდლელი მდელოს. ვინ იცის, თავის გულში რას ამბობდა, რასა ფიქრობდა? ველარ გაუძლო მწუხარებას და ისევ ტყეში მიიმა-ლა, არსად ბეწვი ბალახი არ მოუწყვეტია, მოიკუნ-კა თავის ლოგინში და მწარედ კვნესოდა.

დაღამდა. ახლა ველს, აობრებულს, ცარიელ კლერტებს, დასტრიალებდა თავზე ნიავი და ანუგე-შებდა:


— ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა, ილო-ცეთ, ილოცეთო! — და... ყვავილნიც ლოცულობ-დნენ: „ღმერთო, გვიშველეო!“ მწყემსმა შორს წაასხა საქონელი...: წვიმა მოდიოდა და ალბობდა მდელოს, მზე ათბობდა, ნიავი დასტირებელ სიმ-ლერას უმღერდა. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ველი ისევ წინანდებურად ლალანებდა¹⁾, ყვავილების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. კურდლელიც ისევ წინანდებურად ნავარდობდა მდელოზე. ახლა ალარავინ ითხოვდა, ალარავინ ემდუროდა. ველი როდილა სჩიოდა, როცა რომელიმე ნადირი გადურ-ბენდა, ან როცა მწყერი, გნოლი, კაჯაბი, დაგო-გავდნენ მის გულ-მკერდზე. ისევ დასტრიალებ-დნენ თავს პეპელები, ფუტკარი და სხვა ათასნაირი მწერი.

1) ბიბინებდა.

მდელოზე კვალად სიცოცხლე სდულდა, ისევ
კარგი, ლამაზი, სანახავი იყო.

ახლა მხოლოდ დიდი, დაბურული, შავი ტყე
დასკინოდა, ნიშნს უგებდა:

საწყალი მდელო, მაგას ეგონა, ეგ არი,
მორჩა ჩემი საქმე, თავის დღეში აღყვავებას,
სიცოცხლეს აღარ ველირსებიო! ბალლია ჯერ
კიდევ, როდი ესმის ბუნების წესი და კანონი!



ფასი სამი შაური

